საქართველოს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე

საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების პრაქტიკა

პროექტის ზოგადი მიზანი:

კვლევის შედეგად შესწავლილი იქნება საქართველოს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით გამოვლინდება არსებული პრობლემები, რომელთა გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდება შესაბამისი თეორიულ-პრაქტიკული რეკომენდაციები.

პროექტის ფარგლებში საკვლევი თემის (საკითხის; პრობლემის) აქტუალობა:

საქართველოს კანონმდებლობა უცხო ქვეყნის ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის მატერიალური სამართლით თითქმის მსგავსი დონით უფლება-მოვალეობების მინიჭებას განსაზღვრავს, როგორითაც საქართველოს შესაბამისი სამართალსუბიექტებისადმი. მაგრამ მატერიალური სამართლის ნორმასთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს პროცესუალური ნორმები, რომელიც უზრუნველყოფს მათ დაცვას სასამართლოში საქმის წარმოების გზით.

სასამართლოში უცხოური ელემენტით დატვირთული სამართალწარმოებისას, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელება მხოლოდ ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ხშირ შემთხვევებში, იმისათვის, რომ უცხოური ელემენტით დატვირთული სამოქალაქო სამართალწარმოება განხორციელდეს სამართლიანად, ეფექტურად და ობიექტურად, აუცილებელია გარკვეული საპროცესო მოქმედებების ჩატარება საქართველოს საზღვრებს გარეთ, უცხო სახელმწიფოში. ეს უკანასკნელი კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქვეყნებს შორის საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მეშვეობით. შეიძლება გამოვყოთ დახმარების შემდეგი ძირითადი სახეები:

ა) სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების გადაცემა; სასამართლო უწყების გადაცემა, სასამართლო შუამდგომლობების გადაგზავნა და სხვ.)

ბ) მტკიცებულებათა მოპოვება(მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებთა მოპოვება და გამოკვლევა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, ექსპერტიზის ჩატარება).

დ) უცხო ქვეყანაში მოქმედი სამართლის ნორმის არსის დადგენა და გამოყენების პრაქტიკა.

სამართლებრივი დახმარების თითოეულ სახის სწორად და სრულყოფილად განხორციელებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში. იქნება ეს

ა) სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა საპროცესო უფლებების სრულყოფილად დაცვის მიზანი;

ბ) ისეთი პროცესუალური პრინციპების განხორციელება, როგორიცაა შეჯიბრობითობის, მხარეთა თანასწორობის თუ სხვ.

გ) გასათვალისწინებელია ის საკითხიც, რომ ყოველივე ეს, თავის მხრივ მონაწილე სუბიექტთა მიმართ საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს.

დ) საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამართლებრივი დახმარების განუხორციებლობას, მომავალში შეიძლება აუცილებლად შედეგად მოყვეს უცხო ქვეყანაში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოში ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა. რითაც ირღვევა სამართალსუბიექტის ერთერთი ფუნდამენტური უფლება - დაიცვას სამართლით გათვალისწინებული უფლებები და კანონიერი ინტერესები სასამართლო წესით.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აქტუალურად მიგვაჩნია საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების პრაქტიკაში არსებული პრობლემების წარმოჩენა, გაანალიზება და მათი გადაჭრის თეორიულ-პრაქტიკული გზების დასახვა.

პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები :

ა) გამოკვლეული იქნება საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების პრაქტიკა, ქუთაისის და თბილისის სასამართლოების მაგალითზე;

ბ) გაანალიზდება პროექტის მიზნებთან დაკავშირებით მიმდინარე თუ უკვე განხილული სასამართლო საქმეები.

გ) გამოკვლეული იქნება როგორც სამართლებრივი დახმარების განხორციელების, ასევე მასზე უარის თქმის სამართლებრივი-ნორმატიული საფუძვლები.

დ) გაანალიზდება საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ინსტიტუტის სამართლებრივი შედეგები.

პროექტის მიზნობრივი ჯგუფი:

ა) მოსამართლეები;

ბ) ადვოკატები;

გ) სამოქალაქო საპროცესო სამართლის, საერთაშორისო კერძო სამართლისა და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებით დაინტერესებული იურისტები;

დ) სამართალმცოდნეობის სპეციალობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტები.

მოსალოდნელი შედეგი/შედეგები:

ა) გაანალიზდება საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების სფეროში არსებული პრობლემების სამართლებრივი თუ სხვა სახის საფუძვლები;

ბ) გამოვლინდება სამართლებრივი დახმარების თაობაზე სასამართლო შუამდგომლობების გადაცემის გზები, კერძოდ შესაბამისი იუსტიციის დაწესებულებები (კომპეტენტური ორგანოემი).

გ) განისაზღვრება და გაანალიზდება სამართლებრივი დახმარების განხორციელებისას გამოსაყენებელი სამართალი.

დ) პრობლემების თეორიულ-პრაქტიკული ანალიზის შედეგად შემუშავდება მათი გადაჭრის რეკომენდაციები.